თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2598481

ნომერი: AR1400045

თარიღი : 26.04.2016

გაცემის თარიღი : 19.05.2016

გაცნობის თარიღი : 19.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.12.2014წ. N1618329 გადაწყვეტილებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.12.2015წ. N2333157 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, 26/04/2016წ. AR1400045 განაცხადით, მომართეს თენგიზ ესიავამ და სოლომონ ყეინაშვილმა, რომელთაც მოითხოვეს ამავე სამსახურის 12.12.2014წ. N1618329 და 09.12.2015წ. N2333157 ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 12.12.2014წ. N1618329 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთისათვის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.607), დადგენილი იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. სამსახურის 19.10.2015წ. N2247198 ბრძანებით, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთისათვის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.608), დადგენილი იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. სამსახურის 09.12.2015წ. N2333157 ბრძანებით, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთისათვის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.626), დადგენილი იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: N882016096163, მომზადების თარიღი: 20/02/2016 11:21:33) თანახმად, გაერთიანდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში არსებული N01.72.14.035.607, N01.72.14.035.608 და N01.72.14.035.626 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და შედეგად, წარმოიქმნა ქ. თბილისში, სოფელი დიღომში არსებული მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: N01.72.14.035.753. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სამსახურის 13.04.2016წ. N2537293 ბრძანებით, შევიდა ცვლილება 19.10.2015წ. N2247198 ბრძანებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: ქ. თბილისში, სოფელი დიღომში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.753).

ობიექტთან დაკავშირებით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ / მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ აქტები გამოცემული არ არის.

განმცხადებლების განმარტებით, ობიექტის სამშენებლოდ განვითარება ხორციელდება სამსახურის 19.10.2015წ. N2247198 ბრძანებით დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე და შესაბამისად, აღარ არსებობს 12.12.2014წ. N1618329 გადაწყვეტილებითა და 09.12.2015წ. N2333157 ბრძანებით დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გამოყენების ინტერესი. გამომდინარე აღნიშნულიდან, განსახილველი განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 12.12.2014წ. N1618329 და 09.12.2015წ. N2333157 ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: N882016096163, მომზადების თარიღი: 20/02/2016 11:21:33) თანახმად, ქალაქი თბილისში, სოფელი დიღომში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.753) მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ახალი თბილისი 2015“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B15206117, მომზადების თარიღი: 19/10/2015 14:52:02) თანახმად, შპს „ახალი თბილისი 2015“–ის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი – სოლომონ ყეინაშვილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ვინაიდან, აღარ არსებობს 12.12.2014წ. N1618329 გადაწყვეტილებითა და 09.12.2015წ. N2333157 ბრძანებით დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გამოყენების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მითითებული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.12.2014წ. N1618329 გადაწყვეტილება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.12.2015წ. N2333157 ბრძანება გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.